სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

ქართული ღვინის ხარისხის სტანდარტი გაუმჯობესდება

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მოჰყავს სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის Tastingwork ხელმძღვანელის ლიზა გრანიკის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ „ზოგიერთი ღვინო საქართველოში კომერციული მიზნისთვის იწარმოება, ზოგი - არაკომერციული, მაგრამ ხარისხის სტანდარტი ორივე შემთხვევაში უმჯობესდება“. სააგენტოს ორგანიზაციით ღვინის ექსპერტების 10-კაციანი ჯგუფი გრანიკის ხელმძღვანელობით ეწვია საქართველოს 1-კვირიანი ტურის ფარგლებში. „აშშ აღიქმება, როგორც ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი საექსპორტო ბაზარი ქართული ღვინისთვის, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს აქტიურ მარკეტინგულ საქმიანობას“, განაცხადა სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი სამანიშვილმა. ამ წლის 8 თვის განმავლობაში 172 000 ბოთლი (0,75 ლ) ღვინის ექსპორტი მოხდა აშშ-ში, რაც 10%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

Sarke Information News, 13 სექტემბერი, 2016

კატის და ძაღლის საკვების წარმოება დაიწყება საქართველოში

თბილისში დაგეგმილია სახლის ცხოველების საკვების ფაბრიკის მშენებლობა, წერს გაზეთი „რადიო ფორტუნას“ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამჟამად, სახლის ცხოველების საკვები მთლიანად შემოაქვთ იმპორტზე. ბიზნეს იდეის ავტორი ანდრია გვიდიანი აცხადებს, რომ მისმა კომპანიამ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში გრანტი მოიპოვა „სტარტაპ საქართველო“. საწყის ეტაპზე (სავარაუდოდ, გვიან შემოდგომაზე) ფაბრიკა დაიწყებს ძაღლის საკვების წარმოებას, მაგრამ მალე დაამატებს კატის საკვებს, განაცხადა გვიდიანმა. საწარმო აპირებს იჯარით აიღოს ფართი, მაგრამ წარმოების მოცულობის გაზრდის შემდეგ, ააშენებს საკუთარ ფაბრიკას ჩინეთიდან ჩამოტანილი ტექნიკით. ფაბრიკა დაასაქმებს 10-15 ადამიანს.

Sarke Information News, 8 სექტემბერი, 2016

ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა აშენდება მარტვილში

თანამედროვე ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა და ჩაის საცდელ-სადემონსტრაციო დარბაზი აშენდება სოფელ სალხინოში (მარტვილის რაიონი), აცხადებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. ამ მიზნით, შპს „მარტვილი“ მოახდენს 300 000 ლარის ინვესტირებას. სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ქარხნის ასაშენებლად შპს-ს გადასცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 7 938 კვ.მ ნაკვეთი სალხინოში 25 000 ლარად.

Sarke Information News, 7 სექტემბერი, 2016

თხილის გადამამუშავებელი ფაბრიკა აშენდება ლანჩხუთში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, კოოპერატივი „გურიის თხილი“ ააშენებს თხილის გადამამუშავებელ ქარხანას ლანჩხუთში (გურია) სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. კომპანია მოახდენს 136 000 ლარის ინვესტირებას ამჟამად. პროექტის ფარგლებში სააგენტომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 700 კვ.მ ნაკვეთი ლანჩხუთში „გურიის თხილს“ გადასცა სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. კომპანია გეგმავს 100 ტონა თხილის გადამუშავებას ყოველწლიურად. როგორც სამინისტროში აღნიშნეს, 202 კომპანია უკვე დაფინანსებულია სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. სულ ინვესტიციების მოცულობა აღემატება 428 მილიონ ლარს.

Sarke Information News, 7 სექტემბერი, 2016

რთველი კახეთში აქტიურ ფაზაში შედის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, 9 000 ტონამდე ყურძენი გადამუშავდება კახეთის რეგიონში, მათ შორის 3 700 ტ რქაწითელი (თეთრი ჯიშის) და 3 700 ტ საფერავი (წითელი ჯიშის). მევენახეებმა მიიღეს 7,3 მლნ ლარის შემოსავალი, აღნიშნეს სამინისტროში. ამ ეტაპზე 82 ღვინის კომპანია უკვე რეგისტრირებულია რთველის საკოორდინაციო შტაბში, ხოლო 20-მდე კომპანიაა ჩართული ყურძნის გადამუშავების პროცესში. რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილმა განაცხადა, რომ „რთველი უკვე თითქმის დასრულებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სადაც ყურძნის ძირითადი ნაწილი უკვე გადამუშავებულია“, ხოლო „მოსავლის ნახევარზე მეტი გადამუშავებულია ღვინოდ სიღნაღში“. „იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი მოცულობის ყურძენი მაინც დარჩება, რომელსაც კერძო სექტორი ვერ გადაამუშავებს, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ქარხნები მზად არის ყურძენის მისაღებად“, აღნიშნა სამანიშვილმა. ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელის შესაწყობად მთავრობა ქარხნების სუბსიდირებას მოახდენს, რომ მათ შეიძინონ ყურძენი კერძო პირებისგან. სუბსიდიის თანხა კახეთში იქნება 0,45 ლარი 1 კგ რქაწითელზე, 0,45 ლარი - კახურ მწვანეზე, 0,2 ლარი - საფერავზე, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 2 ლარი იქნება გადახდილი მუჯურეთულში და ალექსანდროულში. მევენახეებს შეუძლიათ მიიღონ გაყიდული ყურძნის ღირებულება 15 სამუშაო დღის შემდეგ გაყიდვიდან „ლიბერთი ბანკში“ პირადობის მოწმობით, აცხადებენ სამინისტროში.

Sarke Information News, 7 სექტემბერი, 2016

100 000 ლარი ალუბლის ბაღის დარგვისთვის - „დარგე მომავალის“ შედეგები დათვლილი იქნება რამდენიმე წელიწადში

ოფიციალური მონაცემებით სახელმწიფო პროგრამას „დარგე მომავალი“ ყავს 234 ბენეფიციარი, ხოლო 3 პროექტი უკვე დამტკიცებულია სანერგეებისთვის. სახელმწიფო თანადაფინანსების ფარგლებში ბაღების კომპონენტი შეადგენს 7,62 მილიონ ლარს, ხოლო სანერგეების - 165 449 ლარს. პროგრამის ფარგლებში ძირითადი კულტურებია კაკალი - 458 ჰა, ვაშლი - 445 ჰა, თხილი - 264 ჰა. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტის რატი კოჭლამაზაშვილის განცხადებით, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ანაწილებს საბიუჯეტო სახსრებს სხვადასხვა ბაღების დარგვისთვის, უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ კვლევას. „თუ ჩვენ დავაფინანსებთ რაიმეს და შემდეგ გაირკვევა, რომ ეს იყო ძალიან ბევრი და ვერ გავყიდით, ეს იქნება დიდი პრობლემა“, ამბობს ის. თავის მხრივ, პროგრამის მენეჯერი ლევან დოლიძე ირწმუნება, რომ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ეყრდნობა „საქსტატის“ მონაცემებს. თუმცა, Oxfam-ის პროექტის მენეჯერი ლევან დადიანი მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პროგრამებს ყველაზე მეტად აკლია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი“ და აღნიშნავს, რომ ისინი არ ეფუძნება რაიმე „კვალიფიციური შეფასების ინდიკატორებს“. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო აცხადებს, რომ შედეგები არ არის შეფასებული ამ ეტაპზე, რადგანაც ბაღები ჯერ ისევ შენდება.

Sarke Information News, 7 სექტემბერი, 2016

რესტორნების ეკონომიკა

ქართული რესტორნები ასაქმებს 200 000 ადამიანს, რაც ორჯერ აღემატება სასტუმროების თანამშრომლების რაოდენობას, წერს ჟურნალი. როგორც სტატიაშია ნათქვამი, რესტორნის ბიზნესი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია ქვეყანაში: ბოლო მონაცემებით სექტორის ზრდის მაჩვენებელი 26,7%-ია. 2016 წლის პირველ ნახევარში რესტორნების ბრუნვამ 330 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მთლიანი მაჩვენებელის 1,2%-ია. ეს აღემატება 57%-ით საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის (140 მლნ ლარი) ბრუნვას, წერს ჟურნალი.

Sarke Information News, 7 სექტემბერი, 2016

საქართველო ღვინის ტურიზმის პირველ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს

7-9 სექტემბერს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია გამართავს საქართველოში პირველ საერთაშორისო კონფერენციას ღვინის ტურიზმის თემაზე და მას დაესწრება გენერალური მდივანი ტალებ რიფაი. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განცხადებით, კონფერენციაზე შეიკრიბება 250 დელეგატი 42 ქვეყნიდან, რომლებიც წარმოადგენენ 150-ზე მეტ ორგანიზაციას. კონფერენციის ფარგლებში ღონისძიებები გაიმართება თბილისში, ყვარელში (კახეთის რეგიონი) და კომპანია „შატო მუხრანში". ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი ჩოგოვაძემ აღნიშნა, რომ „საქართველოს ღვინის კულტურის 8 000 წლის ისტორია აქვს. ქართული ღვინის ქვევრი (მეღვინეობის ტრადიციული ჭურჭელი) შედის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში და ვაზის 500-ზე მეტი ქართული სახეობა არის აღწერილი".

Sarke Information News, 6 სექტემბერი, 2016

ეკონომიკის მინისტრმა მეცხვარეთა პრობლემები განიხილა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, შეხვედრა გაიმართა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილსა და მეცხვარეთა ასოციაციის წარმომადგენლებს შორის, სადაც განიხილეს დარგის პრობლემები. შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ განხილვა შეეხო ცხვრის გადასარეკ ბილიკებს და „შემუშავდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რათა გადაიჭრას ყველა დარჩენილი საკითხი". გარდა ამისა, ჩვენ განვიხილეთ ცხვრის რე-ექსპორტის და ექსპორტის და მატყლის შეგროვების პუნქტების ხელშეწყობის საკითხები, განაცხადა მან. თავის მხრივ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადებით, გარკვეული ღონისძიებები უკვე განხორციელდა მეცხვარეობის ხელშესაწყობად, მათ შორის, ბილიკების რეგისტრაცია/ინვენტარიზაციის და ამასთან დაკავშირებული ყველა არსებული პრობლემის, მათ შორის, კერძო საკუთრების საკითხების, გადასაჭრელად.

Sarke Information News, 5 სექტემბერი, 2016

პარტნიორთა ფონდი: საქართველოში ხამონის წარმოება დაიწყება

საპარტნიორო ფონდის განცხადებით, ხამონის (ესპანური ლორი) წარმოება საქართველოში დაიწყება. პროექტის განსახორციელებლად, ფონდმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს კომპანიასთან Native Georgian გუშინ. მემორანდუმის თანახმად, ღორის ქართული ჯიშების აღორძინება მოხდება ხამონის წარმოების მიზნით სოფლის მეურნეობის კვლევის ცენტრთან ერთად. ფონდში განაცხადეს, რომ საქართველოში ისეთი ჯიშები იქნა აღმოჩენილი, რომლების გენოტიპი ესპანური ღორების გენოტიპის იდენტურია. Native Georgian არის ახალი კომპანია, რომელიც დაარსდა საქართველოში იმ ესპანელი ბიზნესმენების მიერ, რომლებიც ფლობენ Deraza Iberico-ს ესპანეთში (ხორცის პროდუქტების წარმოება). მემორანდუმის თანახმად Native Georgian სოფლის მეურნეობის კვლევის ცენტრთან ერთად ააშენებს პირველ ფერმას რაჭაში, ხოლო მეორეს - კახეთში წლიური მოცულობით - 9 000 ღორი, განაცხადეს ფონდში და დასძინეს, რომ მომავალში, ფერმების მშენებლობა დაგეგმილია საქართველოს 9 რეგიონში. მოსალოდნელი ინვესტიციების მოცულობა არ არის მითითებული.

Sarke Information News, 1 სექტემბერი, 2016

საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადების ახალი წესი ამოქმედდება

საჯარო რეესტრის განცხადებით დღეიდან ის ჩაატარებს მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების რეგისტრაციას საკადასტრო ნახაზის მიხედვით, რომელიც მომზადდება მხოლოდ ახალი სტანდარტებით. განისაზღვრა საკადასტრო რუკის/აზომვითი ნახაზის სტანდარტული ფორმა და სავალდებულო ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზის მომზადებისას. მიწის რეგისტრაციის ახალი პროექტის ფარგლებში მიწათმფლობელის და მიწისმზომელის პასუხისმგებლობა უკვე გამოიყო. კერძოდ, მფლობელი პასუხისმგებელია საიდენტიფიკაციო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის და

საზღვრების იდენტიფიკაციაზე, ხოლო მიწისმზომელი - აზომვის სრულყოფილ განხორციელებაზე და ნახაზის სიზუსტეზე, განაცხადეს რეესტრში. შეგახსენებთ, რომ კანონი მიწის რეგისტრაციის გამარტივების შესახებ უკვე ძალაში შევიდა 1 აგვისტოს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ფარავს ნაწილობრივ საკადასტრო ნახაზის მომზადების ღირებულებას სასოფლო 1,5 - 5 ჰექტარ მიწის ფართზე ერთ მფლობელთან მიმართებით. კერძოდ, სააგენტო გადაიხდის 80 ლარს 100 ლარი საერთო ღირებულებიდან, თუ მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1,5 ჰა-ს.

Sarke Information News, 1 სექტემბერი, 2016

სასაკლაოების და ელევატორების უმრავლესობა მდებარეობს ქვემო ქართლში, ხოლო სამაცივრე საცავები - თბილისში

საქსტატის ცნობით, 85 სასაკლაო (პირუტყვის და ფრინველის) მოქმედებდა საქართველოში მე-2 კვარტალში. აქედან, 17,6% მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში. შემდეგ ადგილებზეა შიდა ქართლი, იმერეთი, კახეთი (თითოეული - 16,5%), სამეგრელო - ზემო სვანეთი (10,6%), ხოლო დანარჩენი 22,4% გადანაწილებულია სხვა რეგიონებზე. საანგარიშო პერიოდში 79 000 თავი პირუტყვი დაკლეს, აქედან მსხვილფეხა - 58,2%. სასაკლაოებმა გადაამუშავეს 9 539 ტ ხორცი, აქედან ძროხის ხორცი იყო 43,2%. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 27 სამაცივრე საცავი მოქმედებდა საქართველოში, აქედან 40,7% თბილისში მდებარეობს. მომდევნო ადგილზეა იმერეთი (22,2%), სამეგრელო - ზემო სვანეთი (18,5%). საერთო ჯამში, 60 300 ტ პროდუქცია ინახება სამაცივრე საცავებში, აქედან ქათმის ხორცი (მათ შორის გაყინული) 41,3%, ხორცი და ხორცის პროდუქცია (მათ შორის ნახევრად მზა პროდუქცია) – 31,5%, თევზი - 11,9%, ხილი და ბოსტნეული - 7,7%. სამაცივრე საცავებში გაიყიდა 11,1 მლნ ლარის (3 100 ტ) პროდუქცია, საიდანაც იმპორტირებულ საქონელზე მოდიოდა 56,1% (ფულად გამოხატულებაში). თავის მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის 65,5% იყო ხორცი და ხორცის პროდუქტები. ამავე დროს, ქათმის ხორცი შეადგენდა გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) ნაწარმის 70,6%-ს. სამაცივრე საცავებიდან საზღვარგარეთ გაყიდულ პროდუქციაში 93,6% ხილი და ბოსტნეულია. მე-2 კვარტალში 39 ელევატორი მოქმედებდა საქართველოში ძირითადად ქვემო ქართლში (64,1%). მომდევნო ადგილზეა თბილისი - 12,8%, სამეგრელო - ზემო სვანეთი და შიდა ქართლი - 7,7% თითოეული. ელევატორებში შენახული პროდუქციის მოცულობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 130 200 ტ. აქედან, 83% იყო ხორბალი, 8,4% - სიმინდი, 5,3% - ფქვილი. ელევატორებიდან გაიყიდა 82 900 ტ პროდუქცია (44,7 მლნ ლარი), აქედან ადგილობრივი ნაწარმი იყო 68,5%. ხორბლის ფქვილს ჰქონდა უდიდესი წილი ადგილობრივ გაყიდულ პროდუქციაში (63,3%).

Sarke Information News, 16 აგვისტო, 2016

მთავრობამ დაამტკიცა 4 ახალი საწარმოს პროექტი

დღევანდელ შეხვედრაზე მთავრობამ დაამტკიცა 4 ახალი საწარმოს პროექტი, მათ შორის 2 წარდგენილია სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. საერთო ჯამში, ეს საწარმოები შექმნის 400-მდე სამუშაო ადგილს, ხაზი გაუსვეს მთავრობის ადმინისტრაციაში. ხორცის პროდუქტების ფაბრიკა, რომლის გახსნა დაგეგმილია თბილისში პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, დაასაქმებს 190 ადამიანს, აღნიშნა მთავრობამ და დასძინა, რომ ინვესტიცია უნდა შეადგენდეს 3,76 მილიონ ლარს. საწარმოსთვის მიწის ნაკვეთი შენობით იუნკერების ქუჩაზე გადაეცემა შპს „ხორცის პროდუქტები - ვაკე“-ს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. კომპანია გეგმავს 1 450 ტ მზა პროდუქციის და 10 ტ ხორცის კონსერვის გამოშვებას. კიდევ ერთი საწარმო, რომელიც გაიხსნება პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, არის მაკარონის, პურის და საკონდიტრო პროდუქციის საწარმო ოჩხამურში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი, აჭარა). ის დაასაქმებს 160 ადამიანს, ხოლო ინვესტიციებმა 320 000 ლარი უნდა შეადგინოს. ამ მიზნით, მთავრობა გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ

ქონებას ოჩხამურში შპს NHL-43-ს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. გარდა ამისა, ყავის გადამამუშავებელი საწარმო უნდა გაიხსნას თბილისში (კახეთის გზატკეცილზე) 2 წლის განმავლობაში. ამ მიზნით, კომპანია Kapsulo აპირებს 11,28 მლნ ლარის ინვესტირებას და დაასაქმებს 30 ადამიანს, განაცხადა მთავრობამ. სახელმწიფო გადასცემს მიწის ნაკვეთს კომპანიას პირდაპირი მიყიდვის წესით 412 000 ლარად. ბოლო პროექტია ჩაის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა გურიანთაში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურიის რეგიონი). ამ მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 57 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცემა 25-წლიანი იჯარით კომპანიას RK Vashnari. კომპანია გეგმავს HACCP სტანდარტების დანერგვას ფაბრიკაში.
Sarke Information News, 16 აგვისტო, 2016

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხური კვების მრეწველობის კომპანიები იღებენ მონაწილეობას გამოფენაში "WorldFood Moscow 2016"
სომხეთის განვითარების ფონდის დახმარებით 19 სომხური კომპანია მონაწილეობას იღებდა 25-ე საერთაშორისო გამოფენაში "WorldFood Moscow 2016" მოსკოვში 12-15 სექტემბერს. ეს არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენა კვების მრეწველობის სფეროში, რომლის ძირითადი მონაწილეები არიან კომერციული დისტრიბუტორები, იმპორტიორები, საშუალო და მსხვილი მყიდველები. გამოფენაში სომხური კომპანიები წარმოადგენენ საკუთარ ნაწარმს, სომხური კვების მრეწველობის ძირითად პროდუქტებს. „უაღრესად კონკურენტუნარიანი სომხური პროდუქცია წარმოდგენილია გამოფენაზე, სადაც საბითუმო მყიდველი კომპანიების და კომერციული ქსელების წარმომადგენლებმა შეიძლება შეიძინონ მაღალი ხარისხის პროდუქცია, დაიწყონ ან გააფართოვონ თანამშრომლობა სომხურ კომპანიებთან", განაცხადა სომხეთის განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა კარენ მკრტიჩიანმა. ამ წელს 1 600 კომპანიაზე მეტი 60-ზე მეტი ქვეყნიდან მონაწილეობს გამოფენაში, და მოსალოდნელია, რომ ვიზიტორთა რაოდენობა იქნება 30 000-ზე მეტი.
Armenpress.am, 12 სექტემბერი, 2016

სომხური ღვინის ექსპორტი 24,7% -ით გაიზარდა წლის პირველ ნახევარში
საბაჟო სამსახურის მიერ გავრცელებული ცნობების შესაბამისად, სომხური ღვინის ექსპორტი 2016 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში გაიზარდა 24,7%-ით 779 900 ლიტრამდე. ექსპორტირებული ღვინის საერთო საბაჟო ღირებულება შეადგენდა 2,5 მილიონ აშშ დოლარს 1,7 მილიონი აშშ დოლარის ნაცვლად ამავე პერიოდში 2015 წელს. ექსპორტის დიდი ნაწილი -604 200 ლიტრი, 1,8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით წავიდა რუსეთის ფედერაციაში. 1,2 მილიონი აშშ დოლარის 501 100 ლიტრამდე გაიგზავნა ექსპორტზე იგივე ქვეყანაში 2015 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (NSS) ცნობით, ღვინის წარმოება ქვეყანაში გაიზარდა თითქმის 11%-ით პირველი ექვსი თვის განმავლობაში და დაახლოებით 3 მილიონი ლიტრი გახდა. ეთილის სპირტის ექსპორტი, რომლის სიმაგრე არანაკლებ 80%-ია, სპირტის ნაყენის, ლიქიორების და სხვა ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი 2016 წლის პირველ ნახევარში 10 მლნ ლიტრია და საბაჟო ღირებულებამ 71,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 4,5 მლნ ლიტრი იყო 2015 წლის პირველ ნახევარში (საბაჟო ღირებულება - 40,6 მილიონი აშშ დოლარი). ძირითადი ნაწილი - 88% გაიგზავნა რუსეთის ფედერაციაში. სომხური კონიაკის ექსპორტი გაიზარდა 34,5%-ით ერთი წლის წინ განმავლობაში, დაახლოებით 8,7 მილიონ ლიტრამდე. 2015 წელს, იმის გამო, რომ რუსული რუბლი მკვეთრად გაუფასურდა, სომხური ღვინის ექსპორტი რუსეთში დაეცა 31,5%-ით 1 451 მილიონ ლიტრამდე, ხოლო ეთილის სპირტი ექსპორტი დაეცა 8,4% -ით.
ARKA.am, 6 სექტემბერი, 2016

სომეხმა ფერმერებმა 210 000 ტონა კარტოფილის მოსავალი მიიღეს
5 სექტემბრის მონაცემებით, სომეხმა ფერმერებმა 210 000 ტონა კარტოფილის მოსავალი მიიღეს, რაც 40 000 ტონით მეტია წინა წელთან შედარებით, განაცხადეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში და ასევე დასძინეს, რომ კარტოფილის ფართობები გაიზარდა ამ წელს 771 ჰექტარით და ჯამში 34 077 ჰა შეადგინა. სამინისტროში ასევე გააკრიტიკეს ფერმერები ლორის და შირაქის რეგიონებში კარტოფილის გაყიდვების შეჩერების გამო დაბალი ფასის მიზეზით. მრავალი წლის განმავლობაში კარტოფილის მიწოდება უფრო დიდია, ვიდრე მოთხოვნა და ქვეყანა თვითკმარია კარტოფილის თვალსაზრისით. ამ წელს, იმის გათვალისწინებით, რომ ადრეული ჯიშის კარტოფილის მოსავალმა დაახლოებით 20 დღით დაიგვიანა არასასურველი ამინდის პირობების გამო 1 მარტიდან 31 მაისამდე, 3 392 ტონა კარტოფილი იყო იმპორტირებული სომხეთში. სამინისტროში განაცხადეს ასევე, რომ ყოველ წელს შემოაქვთ საუკეთესო ჯიშის ევროპული კარტოფილის თესლი. ამ წლის 10 ივნისისთვის იმპორტირებული იყო 3 174 ტონა ასეთი თესლი.
ARKA.am, 5 სექტემბერი

სომხეთის ექსპორტი რუსეთში, სავარაუდოდ, გაიზრდება
სომხეთის ეკონომიკის მინისტრმა არცვიკ მინასიანმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ სომხეთის ექსპორტმა რუსეთში შეადგინა 138 მილიონი აშშ დოლარი ამ წლის პირველ ნახევარში და რომ არსებობს გაზრდის შესაძლებლობა ასევე. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, ქვეყნის ექსპორტი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებში გაიზარდა 83,7%-ით ამ წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში 174,6 მლნ აშშ დოლარამდე. ექსპორტი სომხეთიდან რუსეთში გაიზარდა 87,4%-ით 168 მილიონი აშშ დოლარამდე. მინასიანი ფიქრობს, რომ ეს მაჩვენებელი იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს და ვარაუდის საშუალებას, რომ სომხეთის ხელისუფლებამ და ბიზნესმა მოახერხეს გადაეჭრათ პრობლემები, დაკავშირებული ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში ექსპორტის პროცედურებთან. „არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს ექსპორტის შემდგომი ზრდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით, რუსეთში“, განაცხადა მან. კონიაკი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დომინირებს სომხეთის ექსპორტში რუსეთში.
ARKA.am, 25 აგვისტო

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის ივლისის #47 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/